დინამოელები უკეთ თამაშობენ

“დინამო” (თბილისი) - სკა (როსტოვი)

მორიგი საკონტროლო მატჩი, რომელიც თბილისის “დინამოს” ფეხბურთელებმა ჩაატარეს განვლილ კვირას “ბურევესტნიკის” სტადიონზე, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დღემდე გამართულ შეხვედრებში. როსტოვის არმიელთა გუნდი ისეთი ძალის მოწინააღმდეგეა, რომელთანაც ღირს ძალების შემოწმება და შეიძლება გარკვეული დასკვნების გამოტანა იმის თაობაზე, თუ რა ფორმაშია დღეს კოლექტივი.

შეიძლება თამამად ითქვას, ეს “საკონტროლო” თბილისელებმა უკეთ “ჩააბარეს”, ვიდრე ადრინდელები. როსტოველთა ძლიერ გუნდთან ბრძოლაში დინამოელებს საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ. შეტევას საუცხოოდ ხელმძღვანელობდა ცენტრალური ფორვარდი ბარქაია, გადამწყვეტ მომენტებში სტუმრების საჯარიმო მოედანში თამამად შედიოდნენ იამანიძე და ბ. სიჭინავა, დამამთავრებელი დარტყმები კარში სრულდებოდა შეუჩერებლივ, გაბედულად და რომ არმიელთა მეკარე ივანოვის საუკეთესო თამაში არა, თბილისელთა გამარჯვებას უფრო სოლიდური ხასიათი ექნებოდა. მართალია, მაისურაძე და ტრავმის შემდეგ მინდორზე პირველად გამოსული ხუციშვილი ყოველთვის ვერ იდგნენ სათანადო სიმაღლეზე, სამაგიეროდ, ვეკუა ამ მატჩში გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე ადრე.

“დინამოს” დაცვამ და მეკარემ შეძლეს საკუთარი კარის უხიფათობის უზრუნველყოფა, მაგრამ ჩვენი გუნდის უკანა ხაზების თამაში არ იყო დაცული შეცდომებისაგან. კოტრიკაძე რატომღაც ნერვიულობდა და სისტემატურად უშვებდა ხელიდან უკვე აღებულ ბურთს, რომელთაგან ერთი კინაღამ კარში გავიდა. სტოპერები ხშირად აგებდნენ ბრძოლას “კოპაევ–პონედელნიკის “ტანდემთან” და, გარდა ამისა, მინდვრის შუაგულში ვერაფრით ვერ მოხერხდა ძლიერი, აგრესიული ნახევარმცველის შიკუნოვის ნეიტრალიზება. საერთოდ, გუნდი აგვიანებდა თავისი ძირითადი ძალების გადაჯგუფებას როსტოველთა ეპიზოდური, მაგრამ მეტად სახიფათო კონტრიერიშებისას.

მატჩის ერთადერთი ბურთი გატანილ იქნა 61–ე წუთზე. დინამოელთა ერთ–ერთი იერიშისას არმიელთა მცველმა წააქცია ვეკუა და მსაჯმა გ. ბაქანიძემ დანიშნა პენალტი, რომელიც კარგად გამოიყენა იამანიძემ – 1:0. ეტყობა, გ. ბაქანიძე არ იყო სავსებით დაჯერებული თავის ამ გადაწყვეტილებაში და როსტოველთა პროტესტის საპასუხოდ შემდგომში გარკვეულ “ლიბერალობას” იჩენდა მათ მიმართ. სწორედ ამ მიზეზით არ ჩათვალა მან მატჩის ბოლო წუთებზე ბარქაიას მიერ მეტოქის კარში გატანილი შესანიშნავი გოლი.

თბილისელებმა ასეთი შემადგენლობით ჩაატარეს 21 მარტის მატჩი: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, პეტრიაშვილი, იამანიძე, ხუციშვილი, ბარქაია, მაისურაძე, ვეკუა.

რ. ქორიძე.
23 მარტი, 1965 წ.